სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციური ნომერი

47432676750921

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210466995

რეგისტრაციის თარიღი

14.05.2021 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ტყეშელაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი, N12
ტელეფონი: +995595075213

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაერთი წლის თოთხმეტი მაისი
საქართველოს ნოტარიუსი ქეთევან ტყეშელაშვილი
სანოტარო ბიურო მდებარე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N12

ნოტარიუს ქეთევან ტყეშელაშვილს მომმართა „მარწმუნებელმა“ და მოითხოვა რწმუნებულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. ნოტარიუსის მიერ შემოწმებულია მარწმუნებლის პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით, აგრეთვე მისი ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და ნების გამოვლენის ნამდვილობა. ნოტარიუსი ქეთევან ტყეშელაშვილი დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მარწმუნებელი:
შპს „ელ კომპანი“ (ს/ნ406263760), წარმოდგენილი დირექტორის ქრისტინე ბოჭორიშვილის (დაბ.20.07.1949წ. პირადი ნომერი 01027052871, რეგ. მის. თბილისი არტურ ლაისტის ქ. N 5 ბ. 51) სახით

რწმუნებული:
ილია გოგსაძე (დაბ.24.04.1983წ. პირადი ნომერი 54001010234, რეგ. მის. საქართველო, ჭიათურის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ჭიათურა, ნოდარ ჩაჩანიძის III შესახვევი, N 3)

რწმუნებულება

უფლებამოსილების ფარგლები:
1.რწმუნებულების ფარგლები
1.1 „რწმუნებული“ იცავს „მარწმუნებლის“ პირად ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს, ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ნებისმიერ (სახელმწიფო და კერძო) ორგანიზაცია-დაწესებულებებში, ასევე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, ასევე საარბიტრაჟო სასამართლოში, ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში, საქართველოს მთავრობის ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულში (სამინისტროებში, დეპარტამენტებში), მერიაში, არქივებში, შინაგან საქმეთა სამინისტროში ან/და მის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ უწყებაში, პროკურატურაში, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში, ნებისმიერ ბანკში, სანოტარო ბიუროებში, შემოსავლების სამსახურში, ფინანსურ პოლიციაში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მესამე პირებთან ურთიერთობაში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო ბიუროში, ყველა დაწესებულება/ორგანიზაციაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სამეწარმეო რეესტრში, საჯარო რეესტრში, კერძო და საჯარო დაწესებულებებთან ურთიერთობაში, მოითხოვოს ან/და წარადგინოს, მიიღოს ნებისმიერი საბუთი/დოკუმენტი/მოწმობა, დადოს/გააუქმოს და ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის ხელშეკრულებას, მოითხოვოს და მიიღოს სააღსრულებო ფურცელი, შეიტანოს მათში ცვლილება და აწარმოოს შესაბამისი სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და/ან საარბიტრაჟო საქმე.
1.2 აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: განახორციელოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში გათვალისწინებული უფლებამოსილებები, მარწმუნებლის სახელით ხელი მოაწეროს და შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი/საჩივარი/კერძო საჩივარი სასამართლოში, „მარწმუნებლის“ სახელით დაადგინოს ნებისმიერი სახის იურიდიული ფაქტი, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან. მიიღოს მონაწილეობა მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, წარადგინოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი,

წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს ან დაეთანხმოს მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობებს, დასკვნებს ან მოსაზრებებს. ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი და/ან საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს სარჩელი მოთხოვნის მოცულობა, დაამთავროს საქმე მორიგებით, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება ან სასამართლოს სხვა ნებისმიერი აქტი. წარადგინოს სააღსრულებლო ფურცელი აღსასრულებლად. აგრეთვე „მარწმუნებლის“ სახელით დაიბრუნოს სახელმწიფო ბაჟი ბიუჯეტიდან, ასევე აღსრულების ეტაპზე ბაჟის დაბრუნება.

2.რწმუნებულების კანონიერება
არავინ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებლია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

3.რწმუნებულის ვადებულებები:
3.1 რწმუნებული ვალდებულია რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით, მარწმუნებელს მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.
3.2 რწმუნებული ვალდებულია დავალება შეასრულოს პირადად, იგი უფლებამოსილია დავალების შესრულებაში ჩართოს დამხმარე პირები.

4. რწმუნებულების ვადა:
რწმუნებულება გაცემულია და ძალაშია 2024 წლის 14 მაისის ჩათვლით;

5. რწმუნებულება მოიწონა „მარწმუნებელმა“, ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი და დაადასტურა, რომ იგი ნამდვილად შეესაბამება მის ნებას.

6. რწმუნებულების იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ნოტარიუს ქეთევან ტყეშელაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, დანართის სახით ერთვის შემდეგი დოკუმენტები:
ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან: ს/ნ 406263760; განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19117083, 24/10/2019)

7. რწმუნებულების ეგზემპლარების რაოდენობა: წინამდებარე რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ქეთევან ტყეშელაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო ორი გადაეცა მხარეს.

8. გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური სულ: 13.80 ლარი, აქედან: 10.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წელი, დადგენილება N507) 31-ე მუხლისა, დღგ: 1.80 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, 2.00 ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად ამავე დადგენილების 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი:

ნოტარიუსი ქეთევან ტყეშელაშვილი